

დისკუსია, როგორც სასწავლო მეთოდი და მასთან დაკავშირებული
სირთულეები ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე IX-XII
კლასში

თამარ დუშმანაშვილი, ანა შავერდაშვილი, ქეთევან ზურაბაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი
ჯგუფის მასწავლებელი (ქართული ენა და ლიტერატურა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ტალიაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ,გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს,რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

თამარ დუმანაშვილი

ანა შავერდაშვილი

ქეთევან ზურაბაშვილი

24.06.2017

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქალაქ თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში ჩატარებული კვლევის ანგარიშს. კვლევის მიზანს წარმოადგენს დისკუსიის მსვლელობის დროს წარმოქმნილი სირთულეების დიაგნოსტიკა და მათი გადაჭრის გზების ძიება.

დისკუსია არის ინტერაქტიული სწავლების მეთოდი, რომელიც უმნიშვნელოვანესია მოსწავლის კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისთვის. იგი მოსწავლეს აჩვენებს თავისუფალ და არგუმენტირებულ მსჯელობას.

კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ თვისებრივი მეთოდი, რადგან გვჭირდებოდა საკითხის სიღრმისეული ანალიზი. სწორედ ამ მიზნით მივმართეთ ისეთ ინსტრუმენტებს, როგორცაა: სიღრმისეული ინტერვიუ, არასტრუქტურირებული კითხვარი და დაკვირვება.

კვლევას უნდა დაედგინა:

1. ამუშავებს თუ არა პედაგოგი დისკუსიისთვის საჭირო წესებს?
2. არის თუ არა მოსწავლეების მსჯელობა არგუმენტირებული?
3. ერთვებიან თუ არა მოსწავლეები დისკუსიაში?

კვლევამ ცხადყო, რომ დისკუსიის ჩატარება დაკავშირებულია სირთულეებთან და ჩვენ მიერ შეთავაზებული ინტერვენციებით შესაძლებელია მათი აღმოფხვრა.

ეს სირთულეები შემდეგნაირად ფორმულირდა:

1. დისკუსიის წესების არარსებობა
2. არგუმენტირებული მსჯელობის სიმცირე
3. დისკუსიაში მოსწავლეთა არასრულფასოვანი ჩართულობა

ჩვენი კვლევის ანგარიშში წარმოვადგენთ სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებაც ეფექტური იყო იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც გამოვლინდა დისკუსიის მსვლელობის დროს. ინტერვენციების განხორციელების შემდეგ გავაანალიზეთ შედეგები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა რეკომენდაციები ქართული ენისა და

ლიტერატურის პედაგოგებისთვის სწავლების საშუალო საფეხურზე, რათა გაუადვილდეთ მომავალში დისკუსიის ეფექტურად წარმართვა.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის დამუშავების დროს გაწეული დახმარებისა და წერის პროცესში მოწოდებული მასალებისათვის მადლობას ვუხდით ჩვენი თემის ხელმძღვანელს, პროფესორ თამარ ტალიაშვილს.

ასევე, მადლობას ვუხდით იმ სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებს, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობდნენ ჩვენთან და ჩართულნი იყვნენ კვლევის პროცესში.